



სალითმობარს და სამეცნიერს ნახატებიანი ხაზებით. ზამოსის ქოსკალ აპირა ლემს.

№ 2.

იანვარი 6, 1895 წ.

№ 2.

**შინაარსი:** ჩვენი მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა. — ახალწლის მოლოცვა სელოსისაგან „კვალს“, ლექსი ნ. მე-  
რკელიძისა. — გროზოდროის ასი წლის მოსვენება. — ქიათურის ახალგაზღობის შეფეხება ავაქსიან ს. ჩაჩანიძისა. — სეფრადლე-  
პო ამბები. — სოციალი ავაქსია. — ჩინეთ-იაპონიის ომი გ. წერეთლისა. — პარიჟი საზღვარ-გარეთელისა. — გადაგარგული ქართვე-  
ლები ისე რაჭველისა. — ბანეს განცხადებანი.

### ჩვენი მუშებისა და ნოქრების მდგომარეობა.

**მ**ცხრამეტე საუკუნე თაღდება. შესანიშნავი ცელილებანი ხდებიან ქვეყნიერებაზე. ძველი თაობა და მათი აზრები ნელნელა იმარხე-  
ბიან, სამაგიეროთ წინ მიდის ახალი თაობა და იფი-  
ნება მათი აზრები: ძმობა, ერთობა, სიყვარული და თვისუფლება. აგრეთვე ინტერევა ის ბოკილი, რომლითაც ერთი უფრო სუსტი სამეფო, მეორეს უფრო ძლიერ სამეფოს ჰყავს შებოკეილი, მაგ, ირლანდია ცდილობს თავი დახწიოს დიდ ინგლისს, ვენგრია — აესტრიას და სხვა.. ფეხქემშ გაქელოლი ოსმაღეთის სომხები იბრძვიან თავის ერის გასათა-  
ვისუფლებათ. შორს აღმოსავლეთში იაპონია ცდილობს კორეს სამეფო გაათავისუფლოს ჩინეთი-  
დან, რომელიც კარვა ხანია ბატონობს. თითონ ჩინეთი ახლა ცდილობს თავის ბოგდინანისაგან იხსნას თავი და დაადგეს განათლებისა და ეროვნული თავისუფლების გზას.

აგრე მუშა, რომელიც აქამდის თავიქინდრუ-  
ლი მუშაობდა და არაფერს ჰფიქრობდა თავის მდგო-  
მარეობის გაუმჯობესობისათვის და ქარხნის პატრო-

ნიც სისხლს ჰწოდდა მას, მაგ. ამუშავებდა იმ დრო-  
მდის, სანამ თავის ნება იყო, აძლევდა მცირე სა-  
ფასეს და სხე.. დღეს ის მუშა იღვიძებს ღრმა ძილისაგან სწავლული მოამბების შემწეობით და ტოვებს სამუშაოს. — გეყო რაც სისხლი გამოშწო-  
ვეო — ეუბნება ის ქარხნის პატრონს — ახლა თვალი გა-  
ვებრილე, გავარჩიე სინათლე და ბნელი, რომელსაც აქამომდე ვერ ვარჩევილი და თუ მომცემ კარგ ქიხას და ნაკლებ დროსაც, ვიმუშავებ, თუ არა თავს დაგანებებ და ვაი მაშინ შენ დღესო. ამ ნიჩართვე ირუებიან სხვა მუშებიც სხვა ქარხნებში. მათში ერთობა და ერთი პირი თანდთან ვრცელ-  
დება. ამ გვართ იკეტება თვითონ ქარხანაც. ამის-  
თვის ქარხნის პატრონიც ძალა-უნებურათ ჰნებდება მუშის სურვილის და იწყება ახალ რიგზე და წესზე აგებული მუშაობა. მაგ. ინგლისში ამ რამდენიმე ხნის წინეთ ზოგიერთ ქარხნებში დაადგინეს დღეში რვა საათი სამუშაო და რა ცელილება მოიტანა? არაფერი! იმდენსავე აკეთებდენ დღეში, რამდენსაც აკეთებდენ წინეთ, ვიდრე დიდი დრო იყო დანიშნუ-  
ლი სამუშაოთ, თითქმის მეტსაც და, რასაკვირვე-  
ლია, არც ქარხნის პატრონებს მოუვიდათ ზარალი. თუმცა დიდი თავის მტერევა უნდა, რომ ეს აზრი

478

გაურკელდეს ყველგან და განხორციელდეს, მაგრამ იმედია, ცდა თავს გაიტანს. ასე და ამ გვარათ მუშა ხალხის ბედ-იღბალი უკეთესდება ნელ-ნელა, ყველა სახელმწიფოები და სამეფოებიც ჰპაძევენ და იფონება დედამიწაზე ის აზრი, რომ მუშაც კაცია, იგიც ლეთის გაჩენილია, რომლისგანაც ცხარებენ ყველა დანარჩენი წოდების ერნი და ამისათვის ისიც უნდა ითვლებოდეს კაცათ და ისეთი პატივი ჰქონდეს, როგორც სხვა წარჩინებულებს.

სამწუხაროთ ჩვენი ხელოსნებისა და მუშების მდგომარეობისათვის ჯერ არაფერს ვთქვით. ევროპაში თუ ცდილობენ დღიური სამუშაოს ვადის შემცირებას, აქ თითქმის უმატებენ კიდევ. მაგალითათ ჩვენი ზოგიერთ ქარხნებში დღეში თორმეტ საათს მუშაობენ, ზოგან მეტსაც. მუშის ფასიც ძალიან ნაკლებია. დროა თვით მექარხნებებმა ტუილისში, ბაქოში და ბათუმში წაბადონ ევროპის მექარხნებს მუშის მდგომარეობის გაუმჯობესობის-

თვის, სანამდის თვით მუშები გამოიღებდნენ ხელს მათ წინააღმდეგ.

თქვენ წარმოიდგინეთ, დღით საბრალო ხელოსანი დგება ჯერ კიდევ ღამით, სწორეთ იმ დროს, როდესაც ძალი უფროა გემრიელია. ნახევარს საათს საუზმისთვის ასვენებენ, ერთ საათს სადილზე. უნდა იცოდეთ, რა ვაი-ვაგლასს იტანს ამ ნაირათ ხელოსანი, ნამეტნაეთ ზამთარში. კაცო ეერ აწერს მათ უბედურებას; ბევრი წყველის თავის ბედს, მაგრამ რას იზამს. ზოგი ქარხნის პატრონი იმას არ ჯერდება. რომ ისე უღმერთო ვადა აქვს დანიშნული სამუშაოთ, ის კიდევ იმ თავისუფალ დროდან, რომელიც მუშას აქვს დანიშნული საუზმეთ და სადილათ, თითქმის იქიდანაც კი, ჰპარავს დროს: გვიან დაითხოვს და აღზე მიიწვევს სამუშაოთ. ასეთია მდგომარეობა ჩვენი მუშისა ქარხნებში და ნოქრებში. სა წერილმან სახელოსნოებში.

ა. ს. კელი

### ახალწლის მოლოცვა ხელოსნისაგან

აკვალსე.

**წ**ორჩი ხარ, მაგრამ კარგი ხარ, საერო ჩანგზე მღერალი სიბრძნის სულს გიღვამს მგოსანი, სისხლ-ნარეც ცრემლით მწერალი.

მშობელი თავზე დახარის, არ ხარ ძიძების ვაზრდილი... დიდი მგოსნისგან მონათლულს არ მოგადგება შენ ჩრდილი!..

ნუ შეშინდები, იზარდე! თანა გაყავს მირიან-მცხებელი;

შენი სიცოცხლის ფარ-ხმალი მტრის შემტყე-შემძახებელი..

ვაი მას, რომლის მოვლისთვის მშობლები იწყებს ზარებას; ძიძებს მიუვდება საჯიჯგნათ, არ დადევს გადაგვარებას.

ვაი მას მეთქი!.. თუარა ის დიდებისაა მულობელი, ვისაც თავს ადვას მომეცლათ შენებარ მხნე-სწორი მშობელი!..

იზარდე ნორჩო, იზარდე, იყავ მტრის პასუხ-მტებელი... ღმერთმა ათასი სხვაც მოგცევს შენებარ მქადაგებელი!..

ნ. მურგულიაძე

### გრიბოედოვის ასი წლის მოხსენება

4 იანვარს წმ. დავითის ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი ა. ს. გრიბოედოვის საფლავზე.

სახელმწიფოებრივ დრამატურული გრიბოედოვი, როგორც სძებ ჩვენი ქვეყნისა, გრძობითაჲ ჩვენ გვეკუთვნოდა. საქართველო არ დავიწყებს მის გამო-სარჩლებას ჩვენი ერის თავისებურობის დასაცე-ლათ. აი, რას ჰწერდა ის პასკევიჩს: „აქაურ ხალხს ნუ ახვეთ თავზე მის ზნე-ჩვეულების შეუფერებელს უცხო კანონებს, რომელნიც არც არავის ესმის და

არც არავინ ღებულობსო. ხალხს დაუყენეთ მისი სა-კუთარი ამორჩეული მოსაპართლეები, რომელთაც ის ენდობაო. თუ შეიძლება, ნუ შეგნებითო მის შინა-ურ გამგეობას; მის მმართველობაში და სამარ-თალში მხოლოდ მთავრობის მხრით არჩეული დებუ-ტატები დაესწრონ ხოლმეო, სხვაფრივ ძალას ნუ რაფერში დაატანთო“.

კურობეულ იყოს შენი ხსენება ნამდვილო სა-ქართველოს შვილო და ერთგულო მოქალაქე შენი ქვეყნისა.

### ჭიათურის ახალგაზღვრების შეგებება აკაკისთან

**შ**ეგებების 18-ს ჭიათურის ახალგაზღვრებამ მოიყარა თავი და შექნა ლაპარაკი: „აკაკის მივეცემოდა, აკაკის მივეცემოდა, მგონი მოხდისა“. არ გასულა ერთი, საათი რომ სახჩერისკენ მიეტანებოდა ცხენით ერთი ახალგაზღვრებანი, რომელმაც დაბრუნებას შემდეგ გითხრა: „ხედავ უსიკვდილოთ აკაკი აქეთ ჩამოვიდისო“. თადარიგს შეუდგენ. მაშინვე მოიტანეს ფიცრები, სურთა და შეუდგენ კამარის შეკერას იმ ხილზე, რომელზედაც ეტლს უნდა გამოეცლა. ვაკეთეს თალი, შემოსეს სურათი, თალის ზემოდან დამაგრებელი ჭიანჭა ხის გამოხატული და სურათი შემოსილი „აკაკი“ (მუშობდა და მართავდა ყველა ამებს ერთი ახალგაზღვრებანი). მეორე დღისათვის ყველაფერი მზათ იყო. ორ საათს ნახევარზე აფრინეს ისეც კაცი შესატყობათ, რამსიმორცხვა ჭიათურისად ეტლი, რომლითაც აკაკი მოხმადიდებოდა. ყმაწვილები ყველანი დგანან მალღობზე, საიდანაც საჩხერისკენ მიმავალი გზა კარგათ ჩანს. ყველა რაღაც მღვლეარებაშია, ყველას სახეზე კითხულობთ მოუთმენლობას. იქ, სადაც ახლა რკინის გზის ლიანდაგი მიდის, დღინახავდით მარცხენა მხარეზე დაწყობილ შეგირდებს ადგილობრივ შკოლისას თავის მასწავლებელიანა. მარჯვნივ იდგა ხალხი, რომლის წინაც სერთუქოსანი ახალგაზღვრები იდგენ. მოახლოვდა ეტლი, ჩამოხმანდა აკაკი. ავთიმყოფობისაგან მისუსტებულ პოეტს, რომლის სახე მოუხედავთ ავთიმყოფობისა თავისებურათ მხნეთ გამოაყურებოდა, მოდის პოეტი,

მაგრამ უცრათ შედგება. მას მიეგება ერთი ყმაწვილი შემდეგი სიტყვებით: „ჭიათურის ახალგაზღვრებანი ნუსაზღვრელი სინარულით გვეცებებით ჩვენს სასიკეთლო პოეტს. მოვილოცავთ მძიმე ავთიმყოფობისაგან განთავისუფლებას და ეისურვებთ თქვენს დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ჩვენი ერის საკეთილდღეოთ და სამოძღვროთ“. ხმა შეწყდა. ყმაწვილებმა ხელი ჩამოართვეს. პოეტმა განაგრძო სიარული.

აი, მიუხალოვდა „პატარი მოუფუფებს“. ისინი თავს უცრათენ; ცოტა კიდევ და გაისმა საამური, გულში სიმამაცის და ტანში გრუნტელის მომკრეველი ხმა: შეგირდები მღეროდენ: „ეინა თქვა საქართველოზე, ეს არის ლომი ჰყელებათ...“ დანიშნულ ბინამდის სიმღერა არ შეწყვეტილა ორპირათ; სახლოთან, სადაც პოეტი უნდა გაჩერებულიყო, შეგირდები დაშლას აპირებდენ, მაგრამ პოეტის ხმამ შეაჩერა ისინი. პოეტმა უთხრა: „დღით მალღობელი ვარ, როგორც თქვენი, ისე თქვენი უფროსების ჩვენი ხალხი იმოდნათ პატიოსანი, იმოდნათ მადლიანი ხალხია, რომ უხვათ აფასებს ჩემისთანა პატარა მუშასაც კი. ისწავლეთ, არ დაგვიწყდესთ ეს ხალხი, მამულზე და მათი სამსახური. შეიძლება სხვაგან, სხვა ადგილზე დღით საქმეც გახდეთ და დღით პატივისცემაც მოიპოვოთ, მაგრამ ის პატივისცემა თქვენი კი არა, თქვენი ადგილისა—იქ პატივისცემენ თქვენს ადგილს და არა თქვენ. რცოდეთ თქვენი პირადი ღირსებით მოაპოვებელი პატივი ყველა დიდებს აემატება“.

დასწრე

(შემდეგი იქნება)

### პარიყი

(წერილი სიზღვარ-გარეთდან)

**პ**არიყი! ეს არ გაუგონია ეს სახელი? ეინ არ იცის, რა არის ან სად არის პარიყი? შეიძლება ეინემ არ იცოდეს მასშობლოს რომელიმე ქალაქის არსებობა, მაგრამ პარიყის სახელი კი უცეცხლოთ გაუგონია, მისი სახელი შორს გავარდნილა ქვეყნის კუთხეებში და აშუქებენ იქაურობას. ამით ის ყველას თავის თავს ახსენებს და თავისკენ იტაცებს. მართლაც ეინ არ ნატრობს პარიყის ნახვას, მისი არე-მარის დათვლიერებას, მის ცხოვე-

რებაში შეცურებას. პარიყს გავიწიოთ და პარიყი ნახული! რა განსხვავება! ერთი სიმზარია, მეორე ცხადი, ერთი ფანტაზია მეორე სინამდვილე. ძნელია, მკითხველო, პარიყის შესახებ შორიდან დაახლოებულნი წარმოადგინოს შედეგნა. ეს ქალაქი ჩვენითვის ერთიანთ გამოკანანა, მაგრამ გამოკანაც არის და გამოკანაც. პარიყს რამდენიც უნდა უტრიალოთ, თავს და ბოლოს ვერ გაუტებთ, იმასაც კი ვერ მხედრებთ, თუ რა არის აქ გამოსაცნობი, ასე ჰგონია, ყოველივე დღესავით ნათელია. ნამდელათ კი პარიყის სინარული და სიმწუხარე, მოძრაობა და შეჩერება, სულისთქმა და გულის ძებრა ჩვენითვის დაფარულია, გაუგებარია. იქ, სადაც ჩვენ ვიტრუბთ, პარიყელი გაიციუნებს, ხოლო სადაც პარიყელი გოგდებას მორთავს, ჩვენ ვაკვირებულნი კასის გემარ-

თათ. ასეთია ჩვენ შორის განსხვავება. ეს უნდა ნახოთ, იგრძნოთ, ცოტა გაპარიცელდეთ, რომ ოდნავ მაინც შეიგნოთ. პარიკი პირველ ერთ კვირას სწორეთ უდაბნოა, დიად, უდაბნო, არა იმიტომ რომ აქ უდაბური ერთგვიანად და მყუდროება სუფევს, არამედ იმიტომ რომ პარიკი უდაბნოს მეორე უკიდურესობაა და რა გასაკვირია ორმა უკიდურესობამ ხანდახან ერთნაირი შთაბეჭდილება მოახდინოს ადამიანზე. შეუჩერებელი მისელა-მოსვლა, მოუსვენარი ფაცა-ფუცი, ამოხოტრებული, აზღვეებული ცხოვრება, ჭრიაშული, ორონტრიალი. ერთი სიტყვით პარიკის ქუჩაზე ყურთა-მგენა აღარ არის. რა ამბავია, რა გაჭირებთ? საღ მიეჭანება მთელი ქალაქი? გოაცებული ეკითხები თვის თვის და ის კი აღარ იცით ამ საერთო საქმიანობაში თქვენ რის მაქნისი ხართ, რა უნდა გააკეთოთ. საითკენ წახვდით, რა ნახოთ? გასურსთ ვისმე გამოვსაუბროთ, გამოკითხოთ რამე ცნობები: მაგრამ ამათ. ვის ცალია თქვენთვის, ვინ მოგხვდავს, დრო ფულია. თქვენთვის არავინ არ არსებობს, მარტო ხართ, მეორე პლანეტზე ცხოვრებთ. მარტოობა, სულით მარტოობა! რა მიძიმე ტვირთია! რა არის, რომ აქ სამი მილიონი ხალხი ტრიალებს, თუ კი თავის თავს განკალკებულათ გრძნობთ. ამ შემთხვევაში თქვენთვის ეს სამი მილიონი ერთსაც აღარ უდრის. ამას მიუმატებ ისიც, რომ თქვენს ერთგვაროვან საღ ცხოვრებას მიხევეული ნერვები ამ ალიაქოთს ასე ადვილათ ევლარ უძღვებს, იქნაცებით და ეძებთ მოსასვენებელ ალაგს, სადმე შორს შორს, პარიკს იქით. საბრალო უცხოელი! პარიკს გაუტრბის! რა იცის, თუ რა მიმზიდველი ძალა აქვს პარიკს? ჯერ მას არ უგარძნვია ეს. აი, გაიარა ერთმა კვირამ, მეორემაც და მერე კი მშვიდობით,

ტალღებ შეუმჩნევლათ მოუტაცინხართ და ამ აქვფებულ შუაგულ მორგეში გაუტყარცინხართ; ანლა თუ გნებავთ, ძალიანაც მოინდომოთ პარიკიდან გაქცევა; ევლარას გააწყობთ, გვიანია. თქვენ უკვე პარიკის ტყვე შეიქმნით. ცხოვრებამ უკვე შემოგჭიდა თავისი ბასრი კლანჭები და თავისკენ მიგზიანთ: მოდი, ჩემო ძვირფასო! რას მოინატრის, რა არა მაქვს, მხოლოდ ნახე, იგემეო. ერთხელ გემოს გაღება საქმარისია, მერე პარიკს ადვილათ თავს ევლარ დააღწევთ; საკვირველი ის არის, რომ არც კი გასურთ თავის დაღწევა, სიცოცხლე საშინლათ გატკბა, იქიფეთ, იმხიარულეთ, იმეცადნეთ. ყოველივე ზღმისაწლოში და ადვილია. პარიკი ყველას ერთნაირათ ლებულობს, ყველას ერთნაირათ ეპყრობა, მაკრამ ამას განა ყველა ერთნაირათ გებულობს? ამით განა ყველა ერთნაირათ სარგებლობს? პარიკი ერთისათვის ღიღი წონებ საცავია, გონების საღარო, მეორისთვის ყავა-ხანაა, სამეჯლოში ადვილია. ზოგი აქ ფულს იგებს, მღარღრდება, ზოგიც ფლანგავს, ღარობდება, ერთი ბუკუს იძენს, იმარდება, მეორე ჰკარგავს, თახსირდება; ზოგს ხასიათი უმაგრდება, გმირდება, ზოგსაც უსუსტდება, ღარდება. ერთი სიტყვით პარიკი ერთისათვის საწამლავია, მეორისთვის კი უკვდავების წყაროა. ეს ორი მხარე ნაირათ არეულ-ათევეფელია ერთმანეთში! საღ თავდება პირველი და საღ იწყება მეორე — ძნელი გასაგებია. შეაზვეთ ეს ორი სხვა-და-სხვა ნაწილი და გამოვსა პარიკი, დაანაწილეთ, დააცილეთ ერთი მეორეს — რა გამოვა? ყველაფერი, რაც გინდათ, მხოლოდ პარიკი კი არა...

საზღვარ-გარეთელი

(შემდეგი იქნება)

ჩინეთ-იაპონიის ზამი



არმოუდგენელი ამბავი ხდება დღეს აზიის აღმოსავლეთის განაპირ ქვეყნებში. იქ იაპონიის კუნძულებზე მცხოვრები ხალხი, როგორც ვიცით, დაეტაკა უზარ-მაზარ ჩინეთს და ოთხი თვის განმავლობაში მისი ზღვისა და ხმელეთის ძალა დაამსხვრია. ძლიერი ჩინეთის ბოგდინანი, რომელსაც ოთხას მილიონზე მეტი ქვეშევრდომი ჰყავს, რომლის მორიდება ჰქონდა ევროპას და აზიას, რომლის სახელმწიფოა სერცით რუსეთს უდრიდა, დღეს ისე შეიწირვებულა, რომ ევროპის შემადგამე-

ლობას თხოულობს: მიშველეთ, იაპონიის ხელმწიფის ხელიდან დამხსენითო, ყველაზე უფრო გასაკვირელი და მოულოდნელი ის არის, რომ ამ ზრდილობის ევროპის სახელმწიფოები იაპონელებს მაიშუნებთ და ტაი-მასხარებათ თვლიდენ. მაგრამ თურმე ეს ყველასავე ათეულწუნებული იაპონიის ხალხი იმ ევროპელებზე უფრო შორს იხედებოდა, რომელნიც ასე აბუჩათ იგდებდენ მას. იმან შეიგნო, თუ რა საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო მთელი აზიის ხალხები, რომელნიც გონების სიბნელეს მოეცეა და ევროპის სახელმწიფოები ნელ-ნელა უპირებდენ მათ დამორჩი-

ლებას და იმათ სიმდიდრის გამოწოვას ობობასავით. თურმე მხოლოდ ერთი ხალხი ყოფილიყო აზაში, დიდ უკანეს კუნძულებზე მცხოვრები, რომელმაც ყველაზე ადრე შეიგნა ეს საშიში მდგომარეობა და მიხედა, რომ ახალ მტერს მისივე იარაღით უნდა ებძოლოყო. იაპონიამ 1868 წლიდან დაიწყო ევროპის განათლებასე დაწაფება. მან გაგზავნა თავის საუკეთესო მამულიშვილები ევროპას, რომ ზედმიწევნით შეესწავლათ ევროპის განათლებული ცხოვრება, შეეგნათ, რაში მდგომარეობდა ევროპის სახელმწიფოების უძლეველობა. მართლაც ამით შეისწავლეს ევროპული მეცნიერება, ევროპული ენები, გულის ხმა ჰყვეს მის ტენიკას, სამხედრო ძალას, მეზღვეობას და მიჰყვეს ხელი თავის ქვეყნის წარმატების გზაზე დაყენებას. თვით იაპონიაში, საცა ორ-ორი მეფე ბძანებლობდა, გაიყო ერთი ორ პარტიათ.

ქვეყნის გაბედნიერების საქმეს. იმან დიდად შეიყვარა თავისი კუთვნი და შორს გამჭვრეტი ახალგაზრდა მეფე (მიკაღა) და ყოველს მის კეთილ განზრახვას აღტაცებით ეგებებოდა. გაიმართა სატახტო ქალაქში ტოკიოში უნივერსიტეტი, უმაღლესი სამხედრო და ტენიკური სასწავლებლები, დაიმართა ქარხნები ევროპულ წესზე, გადმოიყვანეს ევროპიდან საუკეთესო მოხელენი, ტენიკები, სამხედრო წეს-წყობილების მცოდნე კაცები, ინჟინრები, პროფესორები, სამხედრო იარაღის მკეთებელნი, გაიჩინეს ჯავშნიანი გემები, გაავსეს რკინის გზები, ტელეგრაფები, ტელეფონები და სხვა და სხვა. შეიძრა, გაცუცხლდა ორმოცი მილიონი კუნძულოვანი მცხოვრები ხალხი და შეეშადა მეთაურობას აღმოსავლეთის ხალხებს შორის. თუმცა ევროპის სახელმწიფოები ამას ყოველსავე გარეგნათ ზედადონ, მაგრამ თავის დღეში იმას



იაპონიის მსჯდართ-მოჯარი იამატაკა.

სახელჯანი იტო, მეზღვეოთ მსჯდართ იაპონიისა.

ერთი ითხოვდა ახალ ევროპულ წეს-წყობილების და განათლების შემოღებას, მეორე კი უარს ჰყოფდა ამ ახალ მიმართულებას და მჯართ იდგა ძველ ჩვეულებასზე. ახალი პარტიის მეთაურათ დადგა საეკო უფლების მექონე მეფე, ახალგაზრდა მუტსუ-გიტო, ხოლო მეორე პარტიის თანხრობდა სასულიერო უფლების აღმასრულებელი მეფე, რომელიც მუტსუ-გიტოზე უპირატესათ ითვლებოდა იაპონიაში. მონდა ამ ორ მეფეს შორის სისხლის ღვრა, ბოლოს გაიმარჯვა წარმატების მსურველმა მუტსუ-გიტომ. იმან მოსპო სასულიერო მეფის უფლება, გააუქმა ძველი გჯარები, შემოიღო ახალი წესდება, ევროპული კანონმდებლობა, გამართა ერის წარმომადგენლებისაგან პარლამენტი და დაუწყო ქვეყანას მართვა ამორჩეული დეპუტატების მეშვეობით. რაკი იაპონიის ერთი თვითონ მიიღო მონაწილეობა მართვაში, ძალიან გამოეზიზღდა და თავ-განწირულათ შეუდგა თავის

ეერ წარმომადგენლს, რომ რაც ევროპაში საუკუნოებით გჯკეთებულიყო, იმას იაპონიის ხალხი ათი წლობით მოასწრებდა. მართლაც რომ წარმოუდგენელია იაპონიის გონება-განეთიარების და აღორძინების ამბავი. ჩვენი აზრით ასეთი გასაოცარი საქმე სამს გარემოებას უნდა დაბრალოდეს: ერთი—რომ, იაპონია თავის-თავათ, გარეშე სახელმწიფოს დამოუკიდებლათ, შეუდგა თავის გამოღვიძების საქმეს. პას ძიძათ, პატრონათ, არავინ ყოლია, რომელსაც შეძლებოდა იგი გონებითათ და ზნეობითათ დაეძინებია. მას არ ულობდა რომელიმე განათლებული ერი, ან სახელმწიფო, რომ მისთვის ერჩია: შენ იყავი არხიანათ, შენზე მე ვიჯარუნებ მარტო, მე მოგცემ განათლებას, მე გჯკვეთ ლუქმა პურს, ოღონდ შენი ქვეყნის სიმდიდრისა და მიწა-წყლის პატრონი გამხადეო. მეორე—რომ, იაპონია ძალიან ძველი ხალხია და ძველთგანვე მომდინარეობდა მისი თავისებური განათლება. რაკ ევროპელები ჯერ კი-

დევ ელური ხალხები იყვნენ, იაპონიის ხალხს უკვე წერათი და საერო შკოლებში ბრძენის კონსტუციის მაღალი მოძღვრება განმთავით და ზნეობითათ. მესამე-მე-რომ, იაპონია შეუდგა თავის განათლებას ევროპულს წესრიგზე იმ დროს, როცა ევროპის სახელმწიფოები დაღს დაეიდარაბაში იყვნენ, დღი ბრძოლა და ომი ქონდათ ურთიერთ შორის. ამ ხანების განმავლობაში პრუსია და ავსტრია დი-ტყენ, მერე გერმანიას და საფრანგეთს შეემთხვა განმადგურებელი ომი, ბოლოს რუსეთსა და ისპა-ლეთს მოუხდათ სასტიკი ბრძოლა ბოლგარიის გუ-ლისთვის. ინგლისი ამ ომებში შეიჭრა და არ მია-ტყენა გეროვანი ყურადღება აღმოსავლეთისათვის. ევროპის სახელმწიფოები ერთმანეთს თავიპირს ამ-ტრეუდენ; იაპონია კი იმათ გაფუცეებით უთვალ-თვლებდა და სარგებლობდა მათი სამხედრო მავა-ლითებით. ამ შემთხვევაში იაპონიისთვის ნამდვილ გამწრთენელ სამხედრო შკოლათ შეიქმნა გერმანიის ბრძოლის წესი, მისი სამხედრო დაწყობილება. მა-რთლაც იაპონიამ გადმოიღო მაშინვე გერმანიის გე-ნერალ-შტაბის ცოდნა ომიანობისა. შემოიღო მისი სამხედრო სისტემა, შეისწავლა მოლტკეს მხედრო-მთავრული მქნება; იმან მთელი თავისი ერი მხედ-რობათ ვაღქმნა, ჩამოასხა თავის ქაჩხინებს ქრუსის სისტემის ზარბაზნები, ვილლოტის ჩქარი მასროლი თოფები, ინგლისური ჯავშნიანი გემები და შეემზა-და ჩინეთთან ომს კორეს ნახევარ კუნძულის და-საპყრობათ, რომელიც უნდა გამხდარიყო მომავალ-ში ქვა-ყოთხებით მისი ძლიერების ევროპელების წინააღმდეგ. თვით ბრძოლა ჩინეთთან უნდა გამ-ხდარიყო იაპონიისთვის სამხედრო ვარჯიშობათ, რომ საქმით ავსრულებინა მოლტკეს მიერ მოგონა-ლი სამხედრო ტაქტიკა და სტრატეგია.

ჩამდენათ დღი ნიჭი გამოიჩინა იაპონიის ხელ-მწიფემ მულტს-გიტომ და მისმა მხედართ-მთავრებმა, იმაგატამ და იტომ, რომელთა სურათები აქ არის დახატული, ამას გვიჩვენებს შემდეგი ამბავი: კორეის ნახევარი კუნძული, რომლის გულსთვისაც ჩინეთს და იაპონიას მოუხდათ ომი, სიერკით არ ჩამოუეზრდებო იტალიას. ამ ქვეყნის ტოპოგრაფიუ-ლი მოყვანილობაც ბევრით ემზაგესება იტალიისას, თუმცა ვარეგანი სახე კორეისა და იტალიას სხვა-და-სხვა ნაირი აქეთ. იტალია ჰგავს მაღალ-ყელიან ჩე-ქმას, მაშინ — როდესაც კორეის კუნძული წარმოად-გენს უზარმაზარ კიბოს დიდ ფეხს. მხოლოდ, რო-გორც იტალიას ჩრდილოეთით მაღალი ალპის ქე-დები აცალკეებს ევროპასთან, ისე კორეის აცალ-კეებს თოვლიანი ქედები ჩრდილოეთით ჩინეთი-საგან და მანჯურიისგან, ასე რომ ჩინეთს მხოლოთ

ზღვით შეუძლია შეიყვანოს და არა ხმელეთით კორე-იაში ჯარები. მამსადამე პირველი საქმე იაპონიის ის უნდა ყოფილყო, რომ რამე ნაირათ ჩინეთის ხომალ-დები და ცეცხლის გემები დაეღუპა, რომ ჩინეთის ჯარს, კორეიაში დაბრუნებულს, ახალ-ახალი ჯარები აღარ მიმატებოდა. მართლაც იაპონიის აღმზარა-ლი იტომ ომის ფორმალურათ გამოუხადებამდის მთელი იაპონიის ჯავშნიანი ფლოტით თავს დაეცა ჩინეთის ფლოტს. ორს, სამს ბრძოლაში მან თითქმის სულ დაღუპა ჩინეთის საუცეთესო ჯავშნიანი გემები და საქართველოშიც იტომ ოცდაათი-ათასი ჯა-რის კაცი თავის სამხედრო მოწყობილებით. ამას შემდეგ ჩინეთის ჯარი გამავრდა პენიანგში. აქ კი ხმელეთზე, გრაუმა იამაგატამ მიიღო მხედართ-მთა-ვრობა და იხმარა მოლტკეს ტაქტიკა და სტრატეგია. რასში მდგომარეობდა ეს ხეობა ი, რასშიც დაპ-ყუ თავისი ჯარი ჩამდენიმე ნაწილათ და სულ სხვა-და-სხვა მხრით ვაგზანა, რომ ჩინელებისათვის შეე-ტყობინებია, ვითომც სხვა-და-სხვა მხარე კორეის კუნძულისა მინდა დაეპყროვო, ჩინელებმა იფიქრეს: შევიცადოთ ცოტა ხანს ამ სიმაგრეში და როცა ია-პონიის ჯარი დაიფარტება კორეის ქვეყანაში, იაპო-ნიის ცალ-კალკე რაზმებს დავცეთ და საითთოვით ამოვგლოტოვო; გრაუმი იამაგატა კი სულ სხვას ფიქრობდა. იმან მიცა თავის რაზმებს შემდეგი ბძა-ნება: ერთმა სამხრეთისკენ მიმართეთ, მეორემ ჩრდი-ლოეთისკენო, მაგრამ ისე რომ ერთი დღის სავალზე მეტს ნუ გამოზრდებითო; მხოლოთ ეცადეთ, როცა პე-ნიანგის სიმაგრეში შეგვფუფუს ჯარს დავეტაკოვო, თქვენ უკან იდნ თავი მოუარეთ და მეორე დღეს ერთათ შეერთებული ძალით მახვდეე იერიში მიი-ტანეთო. ამ განკარგულების დასარღვევათ ჩინელები გაიხანენ თავის სიმაგრეში და უცდიდენ იამაგატას მოსვლას, იამაგატა თავისი რაზმით მალე შეება ჩი-ნელებს და დღენახევარი გზობოლა. ჩინეთის მხედართ-მთავარი მეორე დღეს საღამოს მთელი თავისი ჯა-რი გამოვიდა სიმაგრეებიდან და უნდოდა იამაგა-ტას მცირე რაზმი ვაგრიასა, მაგრამ ამ დროს მო-უსწრო სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრით წარსუ-ლმა იაპონიის რაზმებმა და მოსტეს ცეცხლი ორივე მხრიდან. ჩინეთის ჯარი ჩამწყყდიეს შუაში და ია-რალი დაყრდევს. იაპონელებმა ოცი ათას კაცში თუთხმეტი ათას ტყვეთ წამოიყვანეს. შედეგი ამ ბრძოლისა იყო მთელი კორეის ნახევარი კუნძულის დაპყრობა. ამის მერე იაპონიის ჯარმა დაპყრო არტურის ნავ-სადგური და თვით ჩინეთის ქვეყანაში ვადიტანა ბრძოლა. ჩინელები შეშინდენ, გონე-ბა დაპყრეს. ამ დროს მისი შორეული მახრებიც აირია; თვით ჩინელების ჯარებიც ევრ გამოჩნდა კორეი გა-

მოწყობილი თოვლ-ზარბაზნით და სურსათით. ამას გარდა იაპონიის კეთილშობილმა და გულმომობიერმა მოაყრობამ ჩინეთის ხალხი დაამშვიდა და შემოსუელი მტერი მეგობრათ მიიჩნია. ამან კიდევ უფრო დასცა ამბოლოს დროს ბოკუდინანის უფლებმა და მისი ჯარის მხნეობა. ახლა იაპონიის ჯარი თან-და-თან წინ მ-დის ჩინეთში, ამარცხებს მის სულთ და-ცემულს ჯარებს და შორს აღარ ერის ის დრო, როცა დევნა მოგვიტანს იაპონიის ჯარების მიერ ჩინეთის სატახტო ქალაქის პეკინის აღებას და ჩინეთს ბუკდინანის ტახტიდან გადავდებამს. ამ სახით იაპონია შექნა მოულოდნელათ აღმოსავლეთში საშუა-ეკროპის სახელმწიფოებისათვის. ამას შემდეგ მსოფლიო ისტორიის მსოფლ-ობა შესაძლებელია სულ სხვა მხრით მიიმართოს. ამას ყველაზე უფრო კარგათ ატყობს ინგლისი და უფრო ამით აიხსნება ახლანდელი დაპოვებები ინგლისისა რუსეთთან. ინგლისს დიდი შიში ჩაუარდა აღმოსავლეთში ჩინეთის გამოღვიძების გამო, მით უფრო, რომ იაპონიას შეეჭა ჩინეთში განათლებას შუქი და ეროვნული გრძნობა, თუ კი იაპონიამ ოცდა ექვსის წლის განმავლობაში ჩინებულო ეკროპის წესზე გამართული ნახევარი მილიონი მხედარი გამოაწყო, ჩინეთს

რა დაუშლის, რომ იაპონიასთან შერიგდეს, მას დაუკავშირდეს და შეიტანოს იგივე სამხედრო და საერო გამგეობის წესი, როგორც იაპონიაშია. მაშინ ხომ ჩინეთს შეუძლია თუნდა ხუთი მილიონი ჯარი, ევროპულს სისტემაზე გამოწყობილი, დაყენოს ფეხზე და მერე რაღა ეშელება ან რუსეთს, ან ინგლისს მისი ინდაუეთითურთ? აი, შორს გამსჭვრეტე ინგლისი აქ ჰპოებს რუსეთსა და მას შორის საერთო კავშირს მიზეზს. რადგან რუსეთს დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ აღარა ურჩებარა მავდენი სამოქმედო, ამასთანავე აქ ევროპის სახელმწიფოებიც წინ ელობებიან, მაშ ინგლისის აზრით ბევრათ ჰჯობია, რომ რუსეთი მიიტყვეს ჩინეთთან და ჩინეთის ნაყოფიერსა და მიღდარს მხარეში გააერკელოს თავისი გავლენა. მიუცილებლათ რუსეთის მხედრობა აქეთ უფრო აღვილით მოიძკის დიდებას და ფართო მიწა-წყალს რუსეთის მომრავლებულ ხალხის დასასახლებლათ. ამის გამო, თუ მართლა ინგლისსა და რუსეთშუა გაისკენა კავშირი, ცხადია, მაშინ ჩვენც შეგვეძლება დაბეჯითებით ეთქვათ, რომ მსოფლიო ისტორიის ბორბალმა სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ იბრუნა პირია.

ბ. წერეთელი

### საყურადღებო ამბები

**მ**ამს იანვარს აკურთხეს ტუილისში ახალი სამართლოს სასახლე. დიდძალი ხალხი და უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი დაესწრენ იქ. სხეთა შორის ქალაქის თავმა პ. ა. იზმალოვმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვები, რომელნიც ჩვენგნით დიდი თანაგრძობის ღირსნი არიან: „ამ 27 წლის წინათ ახალი სამართლო შემოიღეს ჩვენში, მაგრამ სასესებთ კი არა, შემოკლებითო. რასაკვირველია, ამის მიზეზი მაშინდელი გარემოება იყო. დღეს ის დამპერკოლებელი მიზეზები ხომ აღარ არსებობენ და ჩვენც იმედ გვაქვსო, რომ ეს ახალი სამართალი უნაკლულათ მიეცემა ჩვენს ქვეყანას. სამართლის კარი მართო მოჩიერებს და მშასუებს ან და მართო თავჩაკლებულს დამაშავებს კიარ უნდა ჰქონდეთ გაღებული, არამედ თვით კავკასიის ერის წარმომადგენლებსაც უნდა ეხედოდეთ იქ, როგორც თანამშრომლებს და თანამოაზრეებს მთავრობის მოსამართლეებთან ერთათ სინდისიერათ ვასამართლებთაში“.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწირლებს „ჯგუფილი“ № I, 1895 წლისა, შემდეგი შინაარსით: პატარა შალვა — ლექსი შოა მღვიმელის; სახალწლო სურათები — ელიასის; ჩემი თხა — აჭკის; საშობაო საჩუქარი — ფრანგულიდან — ან. თ-წ-ს; ახალი წელიწადი — ლექსი თ. კანდელავის; ერთი ქორი მარგებელია, ამბავი ეკ. გაბაშელის; ზამთარი — ლექსი დ. ნინოწმინდელის; ზუზულის სისმრები — გუგუშვილის; იესო ქრისტე და გლაზაკა (ზასოდმსკისა) თარგ. — ად. პანოკის; ინდაუელების საჩუქარი შობას — ფრანგულ — ან. თ-წ-ს; ბუკუი, ლექსი — დუტუ მკერდელის; ქორავი ნათარგ. — ენუქაძის; პირველი ცნობები ბუნებზე (პოლ-ბერიდან) — ილიასის. შობა ქრისტესი გ. წერეთლის; ანდაზები, გამოცანება, ხალხური ლექსები, ანვარამა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი.

განვიდნ. რომ ოცეიან „საწყალი დედაბრისასა თავენი ყანასა მკიანო...“, სწორეთ ჩვენი

სადგურის სამკითხველოზე ითქმის. შარშან ქრიშობისთვის განვიძრახეთ სადგურზე სამკითხველოს დაარსება. ყველა თანაგრძობაზე გამოაცხად და კიდევაც შეგაროვეს ფული. უნდა შემოსულიყო 300 მანეთზე მეტი. აფერიაში იყო მოსწენებული 300 მანეთი. მეორე კარესამონდენტი უარს ჰყოფდა ამაზე და 200 მანეთს ასახლებდა. მესამე 178 მანეთს. ეს უკანასკნელი ჯამი დავთრიდან არის ამოწერილი, მაგრამ ვინ შემოიტანა ეს ფული, ან ვისზეა დარჩენილი შემოსატანი, დღესაც გაუგებელია. გარდა ამ დასარსებელი ფულისა ყოველ თვე გროვდებოდა თეიურათ გავწერილი ფული. აგრ წელიწადიც გადას და დღესაც არ ვიცით, თეიურათ რამდენი გროვდებოდა, ან ვის შემოქმედდა საწერო თეიური ფული? გვესმის მხოლოდ ამბავი, 72 მანეთი არისა. ამ სამი თვის წინათ ერთმა მოხელემ ჯამაგირიდან დაუქირა ყველას თეიური შემოსატანი ფული; მაგრამ დღესაც არ გადაუცია სამკითხველოსთვის და გაიძახის: როცა შექმნება, მაშინ შემოვიტანო. ახლა ვკითხობ ამ ბატონს, რა ნება ქონდა ფულის მოგროვებისა, ან თუ იკისრა მოგროვება, უნდა შემოსულიყო 30—40 მანეთი და არა ერთი თუმანი, როგორც თეიურათ ბრძანებს, რატომ ანგარიშს არ წარმოადგენს, ვის გამოართვა და ვის არა. თუ სამკითხველო ასე უპატრონოთ დარჩა, როგორც დღეს არის, დაკეტვა არ აშორდება. მომავალი წლისთვის რამოდენიმე გულ-შემბატკურებმა გამოიღვეთ ფული და გამოიწერეთ გაზეთები, მაგრამ ორიოდ თანამგრძობლის მეოხებით ძნელია სამკითხველოს შენახვა. მართალია ბიბლიოთეკარი გვეას, მაგრამ რათ გეინდა? ტულისის გაზეთებს ათ სათზე ადრე მაინც ვერ ნახებ სამკითხველოში. ზოგიერთ ევაბატონებს პირდაპირ ფოშტიდან მიჰქვთ შინ წასაკითხათ და ათ სათზე უბრუნებენ სამკითხველოს. ამიტომ კარგს იზამდა ბნი სადგურის უფროსი, ი. გ. გლადკოვი, ამოარჩევინებდეს დამარსებლებს ხუთს კაცს ლირსეულს და დავალებდეს იმათ ყოველსაც საქმის წარმოებას. შესაძლებელია, მაშინ ხალხმა ისე გული მოიბრუნოს სამკითხველოზე.

პანაი თუხუქი

\* \*

მღვდლების საშუალებით არიან დაარსებულნი და მათივე ხარჯით ინახებიან. ძალიან სასიამოვნოა ეს მოვლენა. სასიამოვნოა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ხალხი ისე გულგრილათ აღარ უყურებს შკოლას, როგორც ამ ათი-თორმეტი წლის წინათ; შკოლის მნიშვნელობა ყველამ შეიგნო, ყველა გაზნის შეიღოს შკოლაში სასწავლებლათ.

დაიხ, სასიამოვნოა შკოლების გამრავლება ჩვენში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს შკოლები თავის დანიშნულებას, თავის მიზანს ვერ ასრულებენ, როგორც სასურველია. ეთქვათ, შკოლაში ბავშვი დაიარება შკოლაში, ყველაფერი კარგათ შეისწავლა; წერა-კითხვა, საღეთო რჯული, თვლა და სხე. მერე რა მნიშვნელობა აქვს ამ ცოდნას? ბავშვი გამოდის შკოლიდან ცხოვრებაში. მას ყველაფერი ავიწყდება და ბოლოს რჩება ისეთი უფიცო, როგორც იყო მამა-პაპა მისი, არა მცოდნე წერა-კითხვისა.

ვინ არ იცის, რომ შკუა-გონების განვითარებისათვის, საჭიროა ვარჯიშობა წერა-კითხვაში! ვინ არ იცის, რა აუცილებელი საჭიროებაა შკოლებთან წიგნთ-საცავების დაარსება, საიდანაც კურსდამთავრებულს უნდა ეძლეოდეს საკითხავი წიგნაკები და ამით ეძლეოდეს სულიერი საზრდო.

რუსეთში, თითქმის ყველა შკოლებთან არის დაარსებული ამ გვარი წიგნთ-საცავები, რის შემწეობით სწავლა-განათლება ვრცელდება მდებარე ხალხში. ნუ თუ შეუძლებელია ჩვენში ამ გვარი ბიბლიოთეკების დაარსება?

შკოლის შენობისთვის ჩვენი სოფლებები ხარჯენ რამოდენსამე ას მანეთ ფულს და ამდენ ფულთან, რა სათქმელია, ორი, სამი თუმანი ყოველს წლობით გადადვან იმისათვის, რომ ამ სკოლებთან ბიბლიოთეკაც იყოს... დიდა, მონდამა საჭირო, თეარა ბიბლიოთეკების დაარსება ადვილი საქმეა. თუ ბევრს არა 40-ზე წიგნაკს მაინც ვიზოგოთ ჯერ-ჯერობით ბიბლიოთეკისათვის. თუ ასე არ მოხდა, რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ჩვენს შკოლებს, თუ ხეალ ბავში იფიწყებს მას, რასაც დღეს ისწავლის სკოლაში.

ონა ცომაია.

\* \*

წიგნთ-საცავების საჭიროება სოფ. კვანაში (სენაკის მაზრა). აქ შკოლების რიცხვი ყოველ წლობით მატულობს. დღემდის ჩვენს სოფელში ითვლებოდა ოთხი საეკლესიო შკოლა და ერთი ნორმალური ორ-კლასიანი სასწავლებელი. ამ მოკლე დროში, როგორც ისმის, გაიხსნება ორც (საეკლესიო შკოლა). საეკლესიო შკოლები ადგილობრივ

ლანჩხუთი. უმარშიფესათ ვასიკო უკუსთაფესი მადლობა გამოუგნსდროთ თქვენა შატკეცქული გაქეთი ჟგადათ იმ პირთ, რომლებმაც შექმნა ადამიანის ღანსხუთის უფესო სამკითხველოს ფულათ, თუ წიგნებათ: დამიტრნა ბაქრაქამ 1 მ., დამიტრნა კადანდარ-

